ადიგენის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის სტრატეგია

2022-2025

მომზადებულია ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსთან თანამშრომლობითა და მხარდაჭერით.

შესავალი

ახალგაზრდობა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს ქვეყნის როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ განვითარებაში. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შექმნას გარემო, რომელიც პასუხობს ახალგაზრდების გამოწვევებს, იძლევა ახალგაზრდობის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობას ახალგაზრდებისათვის და ახალგაზრდებთან ერთად. ახალგაზრდობის პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს ადამიანის უფლებების, მოქალაქისა თუ გენდერული თანასწორობის პრინციპებს. ახალგაზრობის პოლიტიკის განვითარების სამართლებრივი ბაზა შექმნილია „საქართველოს ახალგაზრდობის კონცეფციის 2020-2030“-ის ფარგლებში.

საქართველოს პარლამენტმა განსაზღვრა კონცეფციის პრიორიტეტები, რომელთა განხორციელებაც მთავრობამ უნდა დაიწყოს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, როგორც ახალგაზრდებთან ყველაზე დაახლოებულ ინსტიტუტებს, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ახალგაზრდულ პოლიტიკაში. ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ მუნიციპალიტეტებში, უმეტესწილად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთქმედებენ. არსებობს ბევრი ისეთი მომსახურებაც, რომლის კონტროლს ან განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ. გამომდინარე აქედან, აუცილებელია არსებობდეს ახალგაზრდობის განვითარების მხარდაჭერის მუნიციპალური სტრატეგია, სადაც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები და შესაბამისი მიდგომები და პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება.

ზოგადი ინფორმაცია

ადიგენის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის მხარეში. ადიგენის რაიონის ფართობი 79953 ჰექტარს შეადგენს. რაიონი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში ახალციხის დასავლეთ ნაწილში და შედის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მხარეში. ადმინისტრაციული ცენტრია - დაბა ადიგენი. დასავლეთით მას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ჩრდილოეთით - ჩოხატაურის, ვანის და ბაღდადის რაიონები, აღმოსავლეთით - ახალციხის რაიონი, ხოლო სამხრეთით თურქეთის რესპუბლიკა ესაზღვრება. გოდერძის უღელტეხილით რაიონი უკავშირდება ქალაქ ბათუმს (140 კმ), ხოლო ზეკარის უღელტეხილით ქ. ქუთაისს (100კმ). ქ. თბილისამდე მანძილი 235 კმ-ია.

მუნიციპალიტეტში არის 55 სოფელი და 2 დაბა. ყველა დასახლება გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის 20 ტერიტორიულ ერთეულში.

მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებას არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები. საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით. ასეთ საკითხებს განეკუთვნება ღონისძიებების განხორციელება ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნითაც. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (მერი) ორგანოები – მუნიციპალიტეტის ორგანოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილებათა განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მექანიზმია მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება (მუხლი 19), ხოლო მერს შეუძლია, უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოს შესაბამისი სტრატეგიებისა და გეგმების მომზადება, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა და განხორციელება (მუხლი 54).

სტრატეგიის შემუშავების პროცესი

ადიგენის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის სტრატეგია მომზადდა ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერითა და დახმარებით, რომელიც შემდეგ გაფართოვდა და მოიცვა ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები, ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფები და სხვა დაინტერესებული პირები. სტრატეგია არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული. შესაბამისად დოკუმენტის შექმნას წინ უძღოდა ადიგენის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების კვლევა. პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შემუშავდა კვლევის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ჩატარებას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებულია სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი. კვლევის ფარგლებში გამოიკითხნენ 14-29 წლის ახალგაზრდები, სულ 100 ახალგაზრდა. კვლევისთვის ახალგაზრდების შერჩევა მოხდა შემთხვევითი პრინციპით, წინასწარ სტრატიფიკაციაზე დაყრდნობით. კვლევის ცდომილებამ 5.6% შეადგინა. **თვისებრივი კვლევის** ფარგლებში გამოყენებული იყო ფოკუსური ჯგუფის და სიღრმისეული ინტერვიუების ტექნიკები. რესპონდენტების შერჩევისას გათვალისწინებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: ასაკი (14-17, 18-23, 24-29 წლის ჯგუფები); სქესი; დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი); განათლება; სამუშაო გამოცდილება; ეთნიკური კუთვნილება.

რაც შეეხება **სიღრმისეულ ინტერვიუებს,** სამიზნე მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ინტერვიუ ძირითად ინფორმანტებთან. რესპონდენტებად შერჩეულები იყვნენ;

- მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, რომელიც ახალგაზრდობის საკითხებზეა პასუხისმგებელი;
- არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც რეგიონში ახალგაზრდობის საკითხებზე მუშაობს;
- სამოქალაქო აქტივისტი (აქტიური ახალგაზრდა, ე.წ. აზრთა ლიდერი), რომლისთვისაც ახალგაზრდობის პრობლემები აქტუალურია.

სტრატეგიის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- მოხდა სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკის და იმ არსებული სამთავრობო სტრატეგიებისა და პროგრამების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდებთან;

- ახალგაზრდების საჭიროებების და სამოქალაქო ჩართულობის კვლევა, რომელიც მუნიციპალურ დონეზე ჩატარდა ადიგენის მუნიციპალიტეტში.

- ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარებული სხვადასხვა კვლევების ანალიზი;

- მოხდა ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება; კერძოდ: მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე თანამშრომლებმა, გაიარეს „მასიური ღია ონლაინ კურსი“ და ასევე,

ახალგაზრდული მუშაკის კურსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით სერთიფიცირებული თანამშრომლები არიან.

- სამუშაო შეხვედრები, ახალგაზრდებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებთან, რომელიც ადიგენში მუშაობენ.
- გაკეთდა პრეზენტაცია დაინტერესებული პირებისათვის ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების შესახებ, რომელიც კვლევის შედეგად გამოიკვეთა;
- მოხდა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პარტნიორობის დამყარება, კერძოდ, მერის ბრძანებით, შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება მერიის სხვადასხვა სამსახურების, რეგიონში მომუშავე ა/ო ორგანიზაციის "WORLD VISION"-ის წარმომადგენლისა და ახალგაზრდებისაგან.
- განისაზღვრა პრიორიტეტების, რომელიც სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე გამოიკვეთა.

სიტუაციური ანალიზი

ახალგაზრდების გამოწვევები, საჭიროებები და ინტერესები ხშირად განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვითაც კი და ისინი განსხვავებული მიდგომებისა და პროგრამების განხორციელებას საჭიროებენ, შესაბამისად ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების დაძლევა შეუძლებელია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების აქტიური ჩართულობის გარეშე.

გამომდინარე აქედან, აუცილებელია არსებობდეს ახალგაზრდობის კეთილდღეობისა და განვითარების მხარდაჭერის მუნიციპალური პოლიტიკის დოკუმენტები, რომელიც სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკას დაეფუძნება და პარალელურად გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები, ხოლო ამის საფუძველზე შემუშავდება შესაბამისი მიდგომები და პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება. პოლიტიკის დოკუმენტი არის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის შედეგი, რომელიც განსაზღვრავს პრობლემის გადაწყვეტისა და სფეროს განვითარების გზებს, რომლის ერთ-ერთი სახეობაა სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა. ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროში, ცენტრალურ დონეზე შემუშავებულია „სახელწმიფო ახალგაზრდობის სტრატეგია 2025", რომელიც განსაზღვრავს სფეროს პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს, აყალიბებს მიდგომებს დასახული მიზნების/ამოცანების განსახორციელებლად და ადგენს შედეგების ინდიკატორებს პროგრესის შესაფასებლად. ხოლო, აღნიშნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ახალგაზრდობის პოლიტიკის პრიორიტეტების, მიზნების და

ამოცანების მისაღწევად კონკრეტულ აქტივობებს, შედეგების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ უწყებებს, შესრულების ვადებს, ბიუჯეტსა და დაფინანსების წყაროს. ახალგაზრდობის პოლიტიკის სამიზნე ჯგუფს 14-29 წლის პირები წარმოადგენენ.
სტრატეგია მომზადდა ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიისა და ახალგაზრდობის სააგენტოს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე.

სტრატეგია არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული. შესაბამისად დოკუმენტის შექმნას წინ უძღოდა ადიგენის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა.

ადიგენის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის თანახმად, გამოვლინდა შემდეგი პრობლემები და მიგნებები:

- ახალგაზრდებისთვის დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები არცთუ ხშირ ხასიათს ატარებს. ისინიც უმეტესად მუნიციპალურ ცენტრებში იგეგმება, მათი ბენეფიციარები კი ძირითადად სკოლის ასაკის ახალგაზრდები არიან.

- ადიგენის მუნიციპალიტეტში უცხო ენების შემსწავლელ კურსებსა (39%-39%) და შეკრებებისთვის სივრცეებზე ხელმისაწვდომობის (30% და 38%, შესაბამისად) არსებობას მიიჩნევენ მნიშვნელოვნად ახალგაზრდები.

- ადიგენის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ნახევარს არ მიუწვდება ხელი დასახლებაში არცერთ სერვისზე (52%), ყველაზე მაღალი კი მუნიციპალიტეტში არის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაზე/სამკითხველო კლუბზე (28%).

- ახალგაზრდებისთვის სერიოზულ გამოწვევად სამუშაო ადგილების სიმწირე და გართობისა და დასვენების ადგილებზე (კინო, თეატრი შეზღუდული/არარსებული ხელმისაწვდომობა იკვეთება.

- უმთავრესი გამოწვევა/პრობლემა, რომლის მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის მათ მუნიციპალიტეტში სწორედ დასაქმების ხელშეწყობას უკავშირდება.

- ადიგენის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 45% ფიქრობს, რომ ახალგაზრდებისთვის დასაქმება ყველაზე მარტივი დედაქალაქშია, 26% კი - სხვა ქვეყანაში დასაქმების სიმარტივეზე მიუთითებს.

- დასაქმებისთვის მნიშვნელოვნად ითვლება სტაჟირების პროგრამებზე ხელმისაწვდომობა/სამუშაო გამოცდილების დაგროვება, რაზეც ადიგენის მუნიციპალიტეტში რესპონდენტთა 53%, მიუთითებს.

- მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სხვადასხვა პროცესში მნიშვნელოვანი/ძალიან მნიშვნელოვანია გამოკითხულთა უმრავლესობის შეფასებით როგორც ზოგადად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (63%), ასევე ადიგენის მუნიციპალიტეტში (71%), უშუალოდ მონაწილეობა პროცესებში დაბალია. გამოკითხულთა უმრავლესობას არ მიუღია მონაწილეობა არცერთ სამოქალაქო აქტივობაში ბოლო 1-2 წლის განმავლობაში.

- დაბალია ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობისა და სამოქალაქო აქტივიზმის მაჩვენებელი. სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში მონაწილეობა ბოლო 1-2 წლის მანძილზე არ მიუღია ათი გამოკითხულიდან რვას როგორც ადიგენის მუნიციპალიტეტში.

- გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტს არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში ბოლო 1-2 წლის განმავლობაში (55%).

- ახალგაზრდების დიდი ნაწილი საერთოდ არ არის დაინტერესებული პოლიტიკით (ადიგენის მუნიციპალიტეტი - 55%), რაც ღირებულებების მნიშვნელოვნების შეფასებისასაც გამოიკვეთა, სადაც ახალგაზრდები ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვნად სწორედ პოლიტიკურ ჩართულობას მიიჩნევენ .
- ადიგენის მუნიციპალიტეტში 33% თვლის, რომ მათი მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში გათვალისწინებული არ არის/საერთოდ არ არის. 21% კი საპირისპიროზე მიუთითებს.

- ადიგენის მუნიციპალიტეტში 44% მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის დაგეგმილი ან განხორციელებული აქტივობების ინიციატორნი თავად ახალგაზრდები არიან.

- ახალგაზრდობისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს ათიდან ცხრა გამოკითხულს.

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებიც არიან მერიის სხვადასხვა სამსახურის, არასამთავრობო სექტორისა და ახალგაზრდული სექტორის წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფის პირველ შეხვედრაზე გაკეთდა ადიგენის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის პრეზენტაცია და გაიმართა დისკუსიაზე პრობლემების გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ. დისკუსიის დროს გამოიკვეთა სხვადასხვა მიმართულება:

- ახალგაზრდების ჩართულობის ნაკლებობა
- ინფორმაციის ნაკლებობა
- გაცვლითი პროგრამების არ არსებობა
- სპორტული და კულტურული ღონისძიებების სიმცირე
- ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა
- დასაქმების პრობლემა
- ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება
- პროფესიული სასწავლებლების არ არსებობა
- სამოქალაქო აქტივობა
- ახალგაზრდული სივრცეების არ არსებობა
- ახალგაზრდობის სექტორის წარმომადგენლებმა შემოგვთავაზეს ახალგაზრდული საბჭოს ჩამოყალიბება, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.
- არაფორმალური განათლების მნიშვნელობაზე ისაუბრეს
- კულტურული და სპორტული ღონისძიებების მრავალფეროვნების მნიშვნელობა

სამუშაო ჯგუფის მეორე შეხვედრაზე, დისკუსიის დროს გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება, რომლებსაც უფრო მეტად პრიორიტეტულად თვლიან ახალგაზრდები. გამომდინარე იქიდან, რომ ახალგაზრდებს არ აქვს ხელმისაწვდომობა არაფორმალური განათლების შესაძლებლობაზე, რომელსაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად თვლიან მათი მომავლისთვის, ასევე არ აქვს სივრცეები სხვადასხვა სპორტული თუ კულტურული აქტივობებისთვის და ასევე გართობისთვის, გამოკვეთეს 3 პრიორიტეტული საკითხი:

- ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობა;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდების მონაწილეობის ზრდის ხელშეწყობა და ახალგაზრდების ჩართულობით მონაწილეობითი სტრუქტურის შექმნა;
- სპორტული და კულტურული ღონისძიებების მრავალფეროვნება.

სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე კვლევაზე დაყრდნობით გამოვლინდა გამოკვეთილი პრიორიტეტული მიმართულების პრობლემების გამომწვევი მიზეზები და უარყოფითი შედეგები.

ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობა.

განსაკუთრებული გამოწვევაა ახალგაზრდებისთვის, შეკრებებისთვის სივრცეების თითქმის არარსებობა, სადაც ახალგაზრდებს კომუნიკაციის, არაფორმალური განათლების მიღებისა და თუნდაც გართობისთვის შეკრების შესაძლებლობა ექნებოდათ. ადიგენის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ნახევარს არ მიუწვდება ხელი დასახლებაში არცერთ სერვისზე (52%), ყველაზე მაღალი კი მუნიციპალიტეტში არის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაზე/სამკითხველო კლუბზე (28%). ამასთანავე, როგორც ზოგადად სამცხე-ჯავახეთში, ასევე ადიგენის მუნიციპალიტეტში უცხო ენების შემსწავლელ კურსებსა (39%-39%) და შეკრებებისთვის სივრცეებზე ხელმისაწვდომობის (30% და 38%, შესაბამისად) არსებობას მიიჩნევენ მნიშვნელოვნად
ახალგაზრდები. ამჟამად სხვადასხვა ტიპის ტრენინგ კურსებზე, შეკრებებისთვის საჭირო სივრცესა და უცხო ენის შემსწავლელ კურსებზე ხელმისაწვდომობა კი აქვს ათიდან თითო გამოკითხულს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდების მონაწილეობის ზრდის ხელშეწყობა და ახალგაზრდების ჩართულობით მონაწილეობითი სტრუქტურის შექმნა.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში ადიგენის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილია მუნიციპალიტეტის საქმიანობებში ჩართული. ძირითადად ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ დაბაში ან დაბასთან ახლოს ვისთანაც ინფორმაციის გავრცელება უფრო მარტივად ხდება. მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ახალგაზრდების ჩართულობის იშვიათი მაგალითები არსებობს, თუმცა ახალგაზრდებს აქვთ მოტივაცია და სურვილი მსგავს პროცესში ჩართულობის. ნაწილი ახალგაზრდების ამბობს რომ ხშირად ინფორმაციის ვაკუუმში არიან განსაკუთრებით სოფლებში, ხშირად ვერ იგებენ ახალგაზრდობის პროგრამების შესახებ და არც იციან, როგორ უნდა მიიღონ ეს ინფორმაცია. ახალგაზრდების მოტივაცია აჩენს სივრცეს მუნიციპალიტეტსა და ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობის გასავითარებლად. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სხვადასხვა პროცესში მნიშვნელოვანი/ძალიან მნიშვნელოვანია გამოკითხულთა უმრავლესობის შეფასებით როგორც ზოგადად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (63%), ასევე ადიგენის მუნიციპალიტეტში (71%), უშუალოდ მონაწილეობა პროცესებში დაბალია. გამოკითხულთა უმრავლესობას არ მიუღია მონაწილეობა არცერთ სამოქალაქო აქტივობაში ბოლო 1-2 წლის ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონი განმავლობაში როგორც მთლიანად რეგიონში (81%), ისე ადიგენის მუნიციპალიტეტსა (80%) და დანარჩენ რეგიონში (81%).

დაბალია ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობისა და სამოქალაქო აქტივიზმის მაჩვენებელი. სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში მონაწილეობა ბოლო 1-2 წლის მანძილზე არ მიუღია ათი გამოკითხულიდან რვას როგორც ადიგენის მუნიციპალიტეტში (80%), ისე დანარჩენ სამცხე-ჯავახეთში (81%) და მთელ რეგიონში (81%).
ადიგენში ფოკუსური დისკუსიების მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდების

მონაწილეობის ზრდის ხელშეწყობასა და ახალგაზრდების ჩართულობით მონაწილეობითი სტრუქტურის შექმნაზე, რადგან მუნიციპალიტეტში არ არსებობს ახალგაზრდული საბჭო, პარლამენტი და ა. შ. რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს ახალგაზრდების მონაწილეობას.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების მრავალფეროვნება.

მწვავე პრობლემად რჩება ახალგაზრდებს შორის არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა. სტრატეგიის შემუშავების პროცესში ადიგენის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ახალგაზრდები კიდევ ერთ პრობლემად სპორტული და კულტურული აქტივობებისა და სოფლებში სპორტული ინვენტარის არ ქონას ასახელებენ.
მართალია, ცხოვრების ჯანსაღი წესი ფასდება როგორც მნიშვნელოვანი, მაგრამ სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავებულობის მაჩვენებელი არ არის მაღალი, რამდენადაც ათიდან ექვსი გამოკითხული არ არის/თითქმის არ არის სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავებული ადიგენის მუნიციპალიტეტში (64%). ადიგენის მუნიციპალიტეტში 44% მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის დაგეგმილი ან განხორციელებული აქტივობების ინიციატორნი თავად ახალგაზრდები არიან.

ხედვა

ადიგენის მუნიციპალიტეტში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ახალგაზრდებს აქვთ მრავალფეროვანი არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობა, არიან აქტიური მოქალაქეები, ცხოვრობენ ცხოვრების ჯანსაღი წესით და უსაფრთხო გარემოში, აქვთ თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, აქვთ ინფორმაციული წვდომა და მხარდაჭერილია მათი ინიციატივები, მათთვის ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული პროგრამები, აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით, იჩენენ შემწყნარებლობას და თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

სტრატეგიული მიზანი 1. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდების მონაწილეობის ზრდის ხელშეწყობა და ახალგაზრდების ჩართულობით მონაწილეობითი სტრუქტურის შექმნა;

საზოგადოებრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათ აქვთ ახალი ხედვები, მიდგომები და ა.შ. მონაწილეობითი სტრუქტურის შექმნით, მათ ექნებათ საშუალება მიიღონ სხვადასხვა აქტივობებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა.

ამოცანები:

ამოცანა 1.1 ახალგაზრდული საბჭოს ჩამოყალიბება

ამოცანა 1.2 ახალგაზრდებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ღია და ეფექტური კომუნიკაციის განვითარება და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდა.

ამოცანა 1.3 მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა;

სტრატეგიული მიზანი 2. ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობა;

ახალგაზრდული საქმიანობა ქმნის კომფორტულ, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს, რომელშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ისწავლონ ერთმანეთისგან და განვითარდნენ. ახალგაზრდულ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალურ განათლებას.

ამოცანები:

ამოცანა 2.1 ახალგაზრდებში დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარება, შესაბამისი არაფორმალური განათლების მიღების გზით.

ამოცანა 2.2 ახალგაზრდებში სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლება არაფორმალური განათლების გრძელვადიანი და მრავალფეროვანი პროგრამებით.

ამოცანა 2.3 მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების მნიშვნელობის პოპულარიზაცია.

სტრატეგიული მიზანი 3. სპორტული და კულტურული ღონისძიებების მრავალფეროვნება

სპორტული და კულტურული ღონისძიებების მრავალფეროვნება ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს იცხოვრონ ცხოვრების ჯანსაღი წესით, გაცვალონ ინფორმაციები სხვადასხვა კულტურების შესახებ და ქონდეთ გართობა-დასვენების შესაძლებლობა.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს, არ აქვთ ბევრი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებში, რადგან არ ტარდება დიდი რაოდენობით.

ამოცანები:

ამოცანა 3.1 ახალგაზრდებისათვის გართობის, დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობების შექმნა;

ამოცანა 3.2 ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობა;

ამოცანა 3.3 ხარისხიანი სპორტული და ფიზიკური აქტივობის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა.

სტრატეგიის იმპლემენტაციის, მონიტორინგის, შეფასების და კოორდინაციის მექანიზმები

ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შემდგომ იწყება მისი განხორციელება და პროცესის კოორდინაცია. სამუშაო ჯგუფი აგრძელებს პოლიტიკის განხორციელების კოორდინაციას, აკვირდება განხორციელების პროცესს, იკვლევს გამოწვევებს და აწესებს რეკომენდაციებს განხორციელების დაჩქარების ან მისი ეფექტურობის გაზრდის მიზნით. ამისთვის აუცილებელია, სამუშაო ჯგუფმა და კოორდინატორმა აწარმოოს პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგისა და შეფასების მიზანია: დაკვირვება ახალგაზრდობის პოლიტიკის მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების მიღწევაზე და მათი შეფასება; არსებული გამოწვევებისა და შეფერხებების დროული გამოვლენა სწორი, დროული და მიზანმიმართული გადაწყვეტილებების მისაღებად. პროცესი ასევე აფასებს, რამდენად განაპირობა სამოქმედო გეგმაში გაწერილმა საქმიანობებმა პრობლემების მოგვარება და მიღწეულია თუ არა ამოცანები/მიზნები.

რაც შეეხება შეფასებას, პერიოდულობის თვალსაზრისით, არსებობს შეფასების ორი ტიპი: შუალედური და საბოლოო. შესაბამისად, შეფასების ანგარიში მზადდება ორ წელიწადში ერთხელ - დოკუმენტის დამტკიცებიდან ორი წლის შემდეგ (შუალედური შეფასება) და დოკუმენტის ოთხწლიანი ვადის გასვლისას (საბოლოო შეფასება). შეფასებისას განისაზღვრება მისი კრიტერიუმები და კითხვები, ტიპი და მეთოდოლოგია

ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის შესაფასებლად, შესაძლებელია შეფასების შიდა, გარე და შერეული ტიპის გამოყენება: შიდა, რომელსაც ახორციელებს მერია; შერეული, როდესაც მერიას შეიძლება ეხმარებოდნენ დამოუკიდებელი გარე ექსპერტები, ორგანიზაციები ან/და სხვა სახელმწიფო უწყებები; გარე, როდესაც შეფასებას ატარებენ დამოუკიდებელი გარე ექსპერტები ან ორგანიზაციები. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის მონიტორინგსა და შეფასებაში აქტიურად არიან ჩართული ადილობრივი დაინტერესებული მხარეები, კერძო და სამოქალაქო სექტორი, განსაკუთრებით, ადგილობრივი არასამთავრობო და ახალგაზრდული ორგანიზაციები. მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების საბოლოო შედეგია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების დოკუმენტის გაუმჯობესება. გასული ორი წლის მონიტორინგისა და შუალედური შეფასების ანგარიშები ხდება ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების ძირითადი საფუძველი, ხოლო საბოლოო შეფასებაზე დაყრდნობით სრულად განახლდება მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი. მონიტორინგის წლიურ ანგარიშს ამზადებს სამუშაო ჯგუფი, მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ მოწოდებული სტატუს ანგარიშების საფუძველზე. მისი სტრუქტურა უნდა იყოს ლოგიკური, თანმიმდევრული და მარტივად აღსაქმელი.

შეფასების მეთოდოლოგია და ანგარიშის სტრუქტურა შეფასების ანგარიშები მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების პერიოდში მზადდება ორჯერ - ე.წ. შუალედური შეფასება ტარდება დოკუმენტის დამტკიცებიდან 2 წლის თავზე, ხოლო ე.წ. საბოლოო შეფასება - დოკუმენტის ვადის გასვლისას.

როგორც შუალედური, ისე საბოლოო შეფასების სტრუქტურა უნდა იყოს ლოგიკური, თანმიმდევრული და მარტივად აღსაქმელი. საქართველოში პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემაში გამოიყენება შეფასების 5 ძირითადი კრიტერიუმი. • • • • • **შესაბამისობა** - რამდენად შეესაბამება მიზნები და ამოცანები მუნიციპალურ საჭიროებებს, გლობალურ პრიორიტეტებსა და პარტნიორთა და დონორთა პოლიტიკას. შუალედური შეფასება იკვლევს ჩარევის ამოცანებისა ან ჩანაფიქრის აქტუალობას შეცვლილი გარემოებების გათვალისწინებით.

ეფექტურობა - მიღწეულია თუ არა მიზნები და ამოცანები (და არა აქტივობები) ან რამდენად მოსალოდნელია მათი მიღწევა.

ეფექტიანობა - შედეგების მიღწევა ყველაზე დაბალი ხარჯებით; დგინდება შედეგების შეფარდება აუცილებელ ხარჯებთან (რესურსებთან).

მდგრადობა - რამდენად განაგრძობს მოქმედებას განვითარების სფეროში ჩარევის სარგებელი ძირითადი დახმარების შემდეგ და როგორია ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილ სიკეთეთა გაგრძელების ალბათობა.

გავლენა - როგორია განვითარების სფეროში ჩარევის შედეგები: პირდაპირი/არაპირდაპირი, გამიზნული/დაუგეგმავი, პოზიტიური/ ნეგატიური, მთავარი/მეორადი.

ჩექლისტი სტანდარტიდან:

- მუნიციპალურ ახალგაზრდობის სტრატეგიაში წარმოდგენილია სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების **მეთოდოლოგია**;
- სტრატეგიაში წარმოდგენილია მონიტორინგისა და შეფასების **კალენდარი** (მონიტორინგის და შეფასების საბოლოო ვადების მითითებით).;
- სტრატეგიაში წარმოდგენილია მონაცემების შეგროვებაზე და ანგარიშგებაზე **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული**.

-მონიტორინგის სტატუს ანგარიშები და წლიური ანგარიშები; შეფასება შუალედური და საბოლოო; სამუშაო ჯგუფი როგორ იქნება ჩართული; (სტანდარტის მიხედვით)